# სახალხო გაზეთი

№ 326 სამშაბათი, 14 ივნისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 326

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—პირჯის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური სალიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


„სახალხო გაზეთი“ (სურათებიანი დამატებით)

1 ივნისიდან წლის ბოლომდე ღირს 5 მ. 50 კ.

---

ნინო ნიკოლოზის ასული და ლავრენტი ივანეს ძე შატბერაშვილნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, 15 ივნისს, კუკიის წმ ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქმნება ნახევარი წლის პანაშვიდი

ნატალია ნიკოლოზის ასულის წერეთლის

სულის მოსახსენებლად. (1—1342—1)

---

12 ივნისს დღისით 2 საათზე ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ელენე პლატონის ასული გამრეკელი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა მისი ელისაბედ ალექსანდრეს ასული გამრეკელისა, პაპა დეკანოზი ალექსანდრე და დიდიდედა პელაგია როსტომის ასული ზუმბულიძენი, დეიდები კნ. ოლგა ალექსანდრეს ასული ჩერქეზიშვილი და მართა ალექსანდრეს ასული ხარაევისა.

გამოსვენება საკუთარის ბინიდან (პირ. ნაწ. იზმაილოვის ქუჩა) 15 ივნისს, დილის 9 საათზე, წმიდა ნინოს ეკლესიაში, სადაც გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. დაკრძალვაც აქავე გალავანში. (1—662—1)

---

## ვკისრულობთ

თარგმნას რუსულიდან ქართულად, როგორც პიესებისას ისე სხვა სალიტერატურო ნაწარმოებისას, ქართულ ხელნაწერების შესწორებას და კორექტურას, ხელმისაწდომ ფასებში.

ბაბილინა და ნარკანი.

(10—1345—1) იკითხეთ „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში.

---

## ქართველ ფარმაცევტების საყურადღებოდ!!

ავადმყოფობისა გამო იყიდება აფთიაქის მაღაზია. მოწყობილია მშვენივრად და დახაზურებულია პატივცემულ საზოგადოების ყურადღებით. წლიური გაჭრობა 16,000 მანეთამდის; საქონელი 10,000 მ. იქნება. გაჭრობა შეიძლება გააორკეცოს გარეშე მუშაკმა, რადგანაც საკურორტო ქალაქია. ერთი წილი საჭიროა ნაღდი, ორი წილი გირაო.

ა დ რ ე ს ი: სოხუმი, კოტლიარევის ქ., სახ. № 11. (3—1344—1)

---

## „აზალი კლუბის“

გახსნა დამოუკიდებელ გარემოებისა გამო 14 ივნისისთვის არ მოხერხდა და გადაიდო რამდენიმე დღით. გახსნის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—1347—1)

---

საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების

## სასარგებლოდ

სამკურნალო საზოგადოების დარბაზში (პუშკინის სახლი), ოთხშაბათს 15-ს და პარასკევს 17 ივნისს,

## ბ-ნი ა. ნ. ჯავახიშვილი

წაიკითხავს ქართულად ორ ლ ე ქ ც ი ა ს:

„ქართველები ანთროპოლოგიურ თვალსაზრისით“.

ადგილების ფასი 10—40 კაპიკამდე, დასაწყ. საღ. 8 ს. (2—1348—1)

---



სამხატვრო-საისტორიო და სამეცნიერო ანატომიური მუზეუმ! პარიზის მხატვრული პანორამა.

მხატვრულ-პლასტიკური და მექანიკური ფიგურები და ბიუსტები: ზოოლოგიიდან, ეთნოგრაფიიდან, მითოლოგიიდან. არა ჩვეულებრივი და საიდუმლონი.

სამეცნიერო-ანატომიური განყოფილება:

ანატომია, ემბრიოლოგია, ყოველნაირი ვენერიული ავადმყოფობანი. აღმოსავლეთის ანუ აზიური სამ ნაირი ჭ—რი.

ახალი ამბავი! ტფილისში პირველად სირენა ანუ თევზ-კაცა.

მუზეუმში შესვლა 30 კ., ბავშვები, მოსწავლენი და ჯარის დაბალი კაცნი 15 კ., ანატომიურ განყოფილებაში—25 კ. ქალებისთვის ოთხშაბათობით. მუზეუმი იმყოფება მიხეილის პროსპექტზე, სინემატოგრაფ «აპოლოს» გვერდით. პატივისცემით ზლოდინისა. (50—1338—3)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დგებუაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და პარ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ზ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.

ხოზიოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606“-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (წ.—1089—486)

---

5 ივნისიდან 1 ივლისამდე

ე. ი. 15, 16, 17, 18, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29 და 30 ივნისს

## ფასების დიდი გაიაფება

## პ. ს. დოროჟინოვის

## მაღაზიებში

1) მთავარი მაღაზიაში—სოლოლაკის ქ., გურგენოვის სახლი ტელეფონი № 583. 2) იაროსლავის მაღაზიაში—მიხეილის პროსპ, ლიუტერანთა ეკლესიის გვერდით ტელეფონი № 838.

ყოველ-წლიური, ჩვეულებისამებრ სეზონის დაბოლოვებისა გამო, ყოველნაირი ფართეულობა: ტანისამოსი ტილოსი და ბატისტისა დამზადებული, კისეიები, ზეფირები, შემისები, ფულიარები, ბატისტები, სარატოვის სარპინკები და სხვა სეზონის საქონელი ზემოაღნიშნულ ფასებში გაიყიდება

ძალიან დაკლებულ ფასებში.

## დამზადებულ საცვლების განყოფილებაში

ამ სეზონში დარჩენილი გაუყიდველი: 1000 ცალი ხალათი ქალისა; 1200 ცალი ქოლგა ქალის როგორიც აბრეშუმისა, ისე ბატისტისა მშვენიერი სახელურებით; 2000 დუჟინი ჩულქი ქალისა საზღვარ-გარეთული.

## რომ უფრო კარგად გაიყიდოს

ხალათები, ჩულქები, ქოლგები, ვინც ამათ იყიდის გაიაფებულ ფასებიდან კიდევ დაეთმობათ

25%

ამას გარდა მაღაზიის ფანჯრებში გამოკიდული იქნება ყოველ-ნაირ საქონლის ნიმუშები ფასის ზედაღნიშვნით.

(1—1343—1) პ. დოროჟინოვი.

---

მიიღება ხელის მოწერა

არჩ. ჯორჯაძის თხზულებათა მე-2-რე წიგნზე:

## „ჩვენი საზოგადოებრივობა“.

შინაარსი: ავტორის სურათი. წინასიტყვაობა. 1) მეოთხმოციანნი და ოთხმოც-დაათიანნი. 2) პუბლიცისტი—ილია ჭავჭავაძე. 3) ნ. ნიკოლაძე (ნაწყვეტი). 4) თავად-აზნაურულ ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-XIX საუკუნეში. 5) რევოლუციის შემდეგ.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში—„სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში გაზ. „კოლხიდის“ რედაქციაში; ბათომში—ირაკლი ავალიშვილთან (ქალაქის საავადმყოფო); სოხუმში—ნ. ჯანაშიასთან; ხონში—წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; სურამში—ალ. ხორავასთან (საბაკალეო მაღაზია); გორში—სოლომ. კიკნაძესთან (სამეფო ქ., ზურაბიშვილის სახ.) და თელავში—წ. კ. ს. განყოფილების წიგნის მაღაზიაში. ვისაც სურს წიგნი ფოსტით მიიღოს, მან ხარჯად 10 კ. უნდა გადაიხადოს. (20—1326—7)

---

## სანატორიუმი

და

საზაფხულო სამყოფი

## ექ. ვახტანგ ღამბაშიძისა.

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის 8—15 წლამდე.

მსურველთ ეგზავნებათ დაწვრილებითი ცნობები.

(10—660—2) მისამართი: ზოვრჯომით, პატარა ცემი ექიმს ვ. ღამბაშიძეს.

---

საბურთალოზე მშვენიერ ადგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდის. (წ.—1147—68)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდა კვირა დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიხამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხოზიოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით. (შ— —1090—83)

---

## სურამში

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

---

**ექიმი** ი. ვ ა შ ა კ ი ძ ე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 8—77

---

კ ი რ ი

## გასაოცარ იაფ-ფასად

იხილე მეოთხე გვერდი. (2—1346—1)

---

**ექიმი** კ ბ ი ლ ი ს ა ისიდორე ჟანტურია

გადავიდა ახალ ბინაზე Служба Сборов-ის გვერდზე, ავჭალის სახალხო აუდიტორიას ახლოს, ჩერქეზოვის ქუჩა (ავჭალის) № 68. (თ.—1329.—7)

---

## დოქტორი მედიცინისა

## ი. გ. ჩუდნოვსკი

## გადავიდა

კიროჩნის ქუჩა სახ. № 18.

ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების პირდაპირ.

მიიღება შინაგან და ნერვებიანი ავადმყოფნი—ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—8 ს. (10—1336—2)

---

ელექტრონისა და რენტგენის
ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—39)

---

ქ უ თ ა ი ს შ ი

## ექიმი მ. ი. ჩხენკელი

შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგი იოსელიანის სახლი. (თ.—1321—9)

---

ა ბ ა ს თ უ მ ა ნ შ ი

კბილის ექიმი

## ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს. „დაჩა“ ტერ-მარქაროვისა. (თ.—1333—3)

---

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

---

## შპალიერი

ძმ. ტარნოპოლთა

ქ ა რ ხ ნ ი ს ა

ტფილისის განყოფილება

იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 355.

საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შპალიერი, რომელიც ქარხნის ფასებში იყიდება, 8 კაპ. 6 მ.-დე თოფი. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა უდიდეს ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—28)

---

## ტფილისი, 14 ივნისი

**კიდევ დრამატიული საზოგადოება.** გაზეთ „თემში“ ამნაირი, ცოტა არ იყოს უცნაური ამბავი ამოვიკითხეთ:

„შაბათს საღამოს, 11 ივნისს, მოწვეული ქართულ დრამატიულ საზოგადოების კრება ვერ შესდგა, რადგანაც წევრების კანონიერი რიცხვი არ დაესწრო. მეორე კრებას მოიწვევენ კვირას, 19 ივნისს“. თუ მეორე კრებაც ამნაირად მოიწვიეს, როგორც პირველი, უეჭველია არც მაშინ გამოცხადდება წევრთა კანონიერი რიცხვი. საზოგადო წესათაა მიღებული, რომ, კრების მოწვევამდე, გამგეობა, ორი კვირით ადრე მაინც, გაზეთების შემწეობით აუწყებს საზოგადოებას, რომ კრება დანიშნულია და წინდაწინვე აცნობს განსახილველ საგნებს. დრამატიული საზოგადოების გამგეობა ასე არ მოიქცა, და ამიტომ კრება დანიშნულადაც არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო.

ეს სხვათა შორის, არსებითად კიდეც გვინდა მკითხველ საზოგადოე-

ბას გამოვებაასოთ დრამატიულ საზოგადოების იმ ანგარიშის თაობაზე, რომელიც გაზეთმა „თემმა“ გამოაქვეყნა. სწორედ მოგახსენოთ, არ ვიცით, რა ვუწოდოთ ამ დოკუმენტს, ანგარიში თუ განმარტება იმ ანგარიშისა, რომელიც ჯერ კიდევ გამოსაქვეყნებელია. მაგრამ, რადგანაც ამ ანგარიშს წინ უძღვის ასეთი ფრაზა: „დრამატიულ საზოგადოების წლიურ კრებას გამგეობამ წარუდგინა შემდეგი ანგარიში“-ო (როგორ წარუდგინა, თუ საზოგადო კრება ვერ შესდგა?), ჩვენც იძულებულნი ვართ იგი ანგარიშად ჩავთვალოთ.

ქვა-კუთხედი ყოველგვარ ანგარიშისა აღნუსხვაა შემოსავალ-გასავლისა. არავითარ წამატებაზე არ შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც გამორკვეული არ არის, რამდენი შემოვიდა, რამდენი დახარჯე და რაზე ამყარებ შენს იმედებს. ყოველგვარი გამგეობა ყოველგვარ საზოგადოებისა მხოლოდ იმიტომ ადგენს ანგარიშებს, რომ საზოგადოების წევრთ საშუალება მიეცეთ საქმის ვითარებას გაეცნონ, დაწვრილებით განიხილონ თვითოეული მუხლი ანგარიშისა და თავის რჩევით საზოგადო საქმის წარმატებას ხელი შეუწყონ. ყოველნაირს საქმეში სისტემაა საჭირო და საქმიანობას კი სისტემატიზაციას იძლევს წესიერად წარმოებული ანგარიში. გადახედეთ ამ თვალსაზრისით დრამატიულ საზოგადოების გამგეობას და თქვენს წინ გადაიშლება გასაოცარი სურათი უსისტემობისა. უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია ის, რომ ანგარიშის ერთად-ერთს ცხრილს უფრო სტატისტიკურ ცნობის ხასიათი აქვს, ვიდრე ანგარიშისა. ისეთი სტატისტიკური ცნობები, რომლებსაც გამგეობის ანგარიში გვაძლევს ძალიან საინტერესოა, მაგრამ სტატისტიკური ცნობები მაინც ანგარიში არ არის. მთელი ანგარიში აჭრელებულია იმ ცნობებით, თუ ვისგან შესდგებოდა დასი, რამდენი წარმოდგენა გაიმართა სეზონში, რა ხასიათისა იყო ეს წარმოდგენები და სხვ. რაიცა შეეხება შემოსავალ-გასავალს, ნაჩვენებია მხოლოდ შემოსავალი, გასავალიდან კი არც ერთი მუხლი არ არის ნაჩვენები. ამისთანა პირობებში ყოვლად შეუძლებელია რაიმე გარკვეულ აზრის შედგენა დრამატიულ საზოგადოების მოქმედებისა და მდგომარეობის შესახებ. ვიცით მხოლოდ, რომ წარმოდგენებიდან გამგეობას აუღია 12.861 მანეთი კაპეიკებით; არაფერი არ არის ნაჩვენები იმ სუბსიდიაზე, რომელიც გამგეობამ თავად-აზნაურობისაგან მიიღო. არავინ იცის, ეს თანხა მართლა სუბსიდია იყო, თუ სესხად აიღო გამგეობამ. არაფერი ვიცით იმის შესახებ, რამდენი აიღო დრამატიულმა საზოგადოებამ თეატრის გაქირავებით. საზაფხულო ბაღიც გამგეობას ჰქონდა აღებული. არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ როგორ მიდიოდა ამ ბაღის ექსპლოატაციის საქმე. ერთის სიტყვით, ანგარიში არავითარ ცნობებს არ იძლევა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია შემოსავალ-გასავალი საზოგადოებისა.

რა აზრი აქვს ამისთანა ანგარიშის გამოქვეყნებას? ან როგორ უნდა გაიკვლიონ საზოგადოების წევრებმა ამ ანგარიშის გამოურკვევლობის ლაბირინტში? საზოგადო კრება, კიდეც რომ შესდგეს იგი, უძლური იქნება, რაიმე სახელმძღვანელო დირექტივები მისცეს თავის გამგეობას, რადგანაც ხელში არავითარი ცნობები არ ექნება.

მალე, როგორც საგაზეთო შენიშვნებიდანა სჩანს, დრამატიულ საზოგადოების საზოგადო კრება უნდა გაიმართოს. არ შეიძლება, თუ წევრნი წინდაწინვე არ მოემზადნენ, გამოქვეყნებული ანგარიში კი ვერავითარ ხელმძღვანელობას ვერ გაუწევს წევრთ, ამიტომ ურიგო არ იქნება, თუ სარევიზიო კომისიაც გამოაქვეყნებს შედეგს თავის რევიზიისას. რახან ანგარიში დამზადდა და კიდეც დაიბეჭდა, არ შეიძლება რომ სარევიზიო კომისიას ეს ანგარიში განხილული არა ჰქონდეს.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ჩვეულებათაა მიღებული, როდესაც ამა თუ იმ პოეტის მხატვრულ ნაწარმოებს შეეხებიან, თვითონ პოეტი არასდროს არ ეკამათება იმათ, ვინც პოეტის ნაწარმოებს აფასებს, ძალიანაც რომ უკმაყოფილო იყოს ამ შეფასებით. მაგრამ ჩვენა გვყავს პოეტი, რომელიც „მყეფარებს“, „უსირცხვილოს“, „ბალღებს“, და „საქვენაო გრძნობით გატაცებულს“ უწოდებს ყველას, ვინც კი „მომაკვდინებული დანაშაულობა“ ჩაიდინა და მისი პოეზია არ მოიწონა. ეს პოეტი ბ-ნი სილოვანი გახლავთ.

მოისმინეთ, რასა სწერს ბ-ნი სილოვანი:

„ორანები, გარლანქეშანები და შოლტები ჩვენში მრავალია, მაგრამ რა უნდა ითქვას იმ ორგანოზე, რომელიც ამისთანა ღრეჭია მწერლუკებს (დარბაისელ პოეტის ზრდილობას დამიხედეთ!) ბინას აძლევს და მათი ნაჯღაბნით შეუგნებელ მკითხველებს „კბილთა ღრჭენის“ გემოვნებას უვითარებს, ხოლო შეგნებასა და სინიდისიან მკითხველებს — სამართლიანობის გრძნობას ულახავს?!

რა უნდა ითქვას—და ისა, რომ ჩვენებურ რედაქციებში ხშირად იმისთანა „ბალღები“ იყრიან თავს, რომელთაც არც პრესის მნიშვნელობა ესმით და არც დინჯი კრიტიკისა გაეგებათ რამე, რომელნიც მტერსა და მოყვარეს ვერ არჩევენ და მხოლოდ საქვენაო გრძნობით, პირადი ანგარიშებით, ვისთანმე პირადი მტრული განწყობილებით არიან გამსჭვალულნი—და თავის კალამსაც (კალამს?!) საქვენაო გრძნობათა მიხედვით ათარეშებენ...

აი ასეთი სიტყვები შეიძლება ათქმევინოს პოეტს, რომელსაც იმდენი თავ-მდაბლობა არა აქვს, რომ ჩუმად იყოს, როდესაც მის ნაწარმოებს აფასებენ. გაზეთმა პოეტს ნაწარმოები დაუწუნა. თუ პოეტი ამით უკმაყოფილოა, უნდა ან თავისი ნაწარმოები აქოს, ან შემფასებლები უგუნურებად და ბოროტ-განმზრახველებად დასახოს. ბ-ნმა სილოვანმა თავის ქება ვერ გაბედა და ისევ მეორე გზა ირჩია—„სახალხო გაზეთი“-ს თანამშრომლებს უგუნურები და ბიროტ-განმზრახველები უწოდა. რამდენად სახოთიროა ამისთანა მდგომარეობა თვით პოეტისთვის, ამის გამოცნობა მკითხველისთვის მიგვინდვია.

რაიც შეეხება ბ-ნ სილოვანის შენიშვნის არსებით მხარეს, ვერაფერს ვიტყვით, რადგანაც არსებითად იგი არაფერს ამბობს და, როგორც ავტორი დაწუნებულ პოემისა, ვერც იტყვის. მაგრამ ერთს კი ვიტყვით: სერიოზული კრიტიკა სერიოზულ ნაწარმოებზე შეიძლება; „შოლტი“-ს პატარა ფელეტონში კი ვანძლვა, გინება არა ყოფილა. მთელი მისი წერილი თვით ბ-ნ სილოვანის პოემის ციტატებითაა სავსე, განმარტება თითქმის არ არის, და თუ ეს ამორწერილი ციტატები სიცილს იწვევენ ცოტად თუ ბევრად გემოვნება განვითარებულ მკითხველში, — ეს „შოლტი“-ს ბრალი არ არის. ამით ვათავებთ კამათს ბ-ნ სილოვანთან პოეტ სილოვანის პოემის შესახებ.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ კვირას, 12 ივნისს, დილის 8 საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ პეტერბურგში არდაიცვალა კავკასიის რკინის გზის უფროსი გენერალ-მაიორი იოსებ ადოლფის ძე წეჩგენბაური. გუშინ რკინის გზის მთავარ სამართველოში ამის გამო სამსახური 1 საათზე შესწყდა და გადახდილ იქმნა პანაშვიდი. პანაშვიდს დაესწრო: მოსამსახურენი, სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი და აუარებელი ხალხი.

✦ წვრილი კრედიტის ინსპექტორი ი. ი. ნოვრატინი დაბრუნდა გორის მაზრიდან, სადაც მან დაუმზადებია ნიადაგი წვრილ კრედიტის ამხანაგობის გასახსნელად ლამის ყანაში და კასპში. გორში მას გაუხსნია წვრილი კრედიტის ხელოსანთა ამხანაგობა. ეხლა ის გაემგზავრება ბორჩალოს მაზრაში სარევიზიოდ და 15 ივნისს კი გაემგზავრება კახეთს, სადაც უნდა გახსნას ხუთი ამხანაგობა და დაათვალიეროს 10 სოფელი.

✦ როგორც ვიცით ტფილისში მიწის ქვეშ სატელეფონო კაბელი გაჰყავთ. მუშაობა, როგორც გავიგეთ, ერთი წელიწადი მაინც გასტანს.

✦ **ქართული კლუბი** დღეს ვერ გაიხსნება, რადგანაც ბაღში მუშაობა ჯერ არ დასრულებულა. მუშაობა ორ-სამს დღეს კიდევ გასტანს. კლუბი თუ ხუთშაბათს არა, შაბათს მაინც აუცილებლად გაიხსნება.

✦ **ექსკურსია.** ტფ. სამოსწავლო ინსტიტუტის მოსწავლენი დირექტორის ზაზუბოვის მეთაურობით რუსეთს მიემგზავრებიან საექსკურსიოდ. ექსკურსანტები ტფილისში მხოლოდ აგვისტოში დაბრუნდებიან.

ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა ყარსის რეალურ სასწავლებლის მოსწავლეთა ექსკურსია.

## წვრილი ამბები

✦ ტფილისის გუბერნატორმა 50 მანეთით დააჯარიმა მარიამ ბაჩარაშვილისა სასდრესო სტოლის წესის დარღვევისათვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ერთის თვით დააპატიმრებენ.

✦ ტფ. გენერალ-გუბერნატორმა ასი თუმნით დააჯარიმა ქერბალაი ალასკერ ნეფთალიევ იმდენი ნება დაურთველად 462 პატრონის შენახვისათვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, 3 თვით დააპატიმრებენ.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ხელოსანთა საკრედიტო ამხანაგობის** საგანგებო კრება 12 ივნისს მოხდა ი. მ. სარქისოვის თავმჯდომარეობით. დაესწრო 75 წევრი და წვრილი კრედიტის ინსპექტორი ბ-ნი ზილფიანცი. კრების ყრილობა გადასწყდა: 1) დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდან გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნი რეჟეპოვი, 2) არჩეულ იქმნა მის ნაცვლად ი. ნ. მხეიძე, 3) გამგეობის წევრად: ი ა. შახბაზიანი და ბ-ნ ოთაროვი, 4) საბჭოს წევრად: ბ-ნი პოლუმორდვინოვი და 5) კანდიდატებად: ა. ა. არუმოვი და ი. მ. სარქისოვი.

## სასამართლო

✦ **კაპიტან ხარაძის საქმე.** მთავარმა საომხედრო სასამართლომ დაამტკიცა კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც 4 წლის კატორღა ჰქონდა გადაწყვეტილი ახალ ბაიაზეთის პოლკის კაპიტანს ხარაძეს. მას ბრალად სდებენ მსწრაფსროლელის 13,000 პატრონის გაყიდვას და სიყალბის ჩადენას.

## ახალციხე

✦ 8 ივნისს გაიხსნა სოფლის მასწავლებელთა კრება სახალხო სკოლათა ინსპექტორის სემიონოვის თავმჯდომარეობით. პირველ დღეს ლექციები წაიკითხეს მათემატიკასა და ბუნების მეტყველებაზე.

✦ ქალაქ ახალციხეში და მის მიდამოებში საქონელს თურქული გაუჩენია.

## პროვინცია.

✦ **ბაკურციხის** საბოქაულოში (სიღნაღის მაზრა) დიდი სეტყვა მოსულა. სოფელ გურჯაანში სეტყვას 208 დესეტინა ნათესი და ვენახი გაუფუჭებია. ზარალი 16,125 მანეთისა იქნება. სოფელ კოლაკში კი 116 დესეტინა ნათესი და ვენახი დაულეწყვია, აქ ზარალი 17,477 მანეთს აღემატება.

✦ **სოფელ ანანურში** (დუშეთის მაზრა) ადიდებულ არაგვს წაულეკია გზები და ხიდები. წისქვილებს განსაცდელი ელის და ამიტომ მეწისქვილეებს წისქვილის ქვები გამოუტანიათ.

# ჟურნალისტის დღიური

23

**ქართველების რუსული გაზეთები**

როდესაც ჩვენმა გაზეთმა ქართველების მიერ გამოცემულ რუსულ გაზეთების წინააღმდეგ გაილაშქრა, ბევრი საყვედურს გვიცხადებდა, მაგრამ დროთა ვითარებამ დაგვანახვა, რომ ჩვენ მართალნი ვყოფილვართ და ჩვენი მომდურავნი კი—ტყუილნი.

ჩვენ პრინციპიალურის მოსაზრებით ვიყავით წინააღმდეგნი ქართველების მიერ გამოცემულ რუსულ გაზეთებისა, რადგანაც ეს გაზეთები იმ მიზანსაც კი ვერ მიაღწევდნენ, რომელსაც ისახავდნენ. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რით ასაბუთებდნენ რუსულ გაზეთების მომხრენი

# დიდი წყაროს პატარა ნაკადი

(ქართ. ფილარმ. საზ. მომავალ საზოგ. კრების გამო).

ყოველ ერის თვით-შემეცნების შინაარს, როგორც ამას ისტორიული დაკვირვება გვიჩვენებს, პოლიტიკურ მთლიანობის, ეროვნულ განვითარების, ეროვნულ გრძნობის განმტკიცების აზრს წარმოადგენს. თუ ერს შეგნებული აქვს მნიშვნელობა თავის არსებობისა, თუ ერი მზად არის, მიუხედავად ყოველივე დაბრკოლებისა, ხარბად დაეწაფოს დაუშრეტელ წყაროს წინ-სვლისას, განვითარებისას, კულტურისას, თუ ერი, როგორც სოციალური ერთეული, ხმა მაღლა აცხადებს თავის სიცოცხლის განმტკიცების სურვილს, იგი ერი უცილობლად თვით-შემეცნების გზას დასდგომია და ეს კი უტყუარი საბუთია იმისი, რომ ერი პოლიტიკურ ევოლუციის ფერხულში ჩაბმულა.

ეროვნული თვით-შემეცნება,—აი რა უნდა ამოძრავებდეს ყოველ ერს მის კულტუროსნობის და განვითარების წინ წასაწევად.

თუ ქართველი ერი სულით და გულით, მთელ თავის სულიერ ცხოვრებით დაკავშირებულია თავის წარსულთან, ძველ მწერლობასთან, პოეზიასთან, მხატვრობა-ხუროთ-მოძღვრებასთან, მუსიკასთან, ფილოსოფიურ და ისტორიულ ნაწარმოებთან, ცხადია ქართველ ერს უკვე მოუპოვებია ნიადაგი ეროვნულ და კულტურულ განვითარებისათვის.

მაშასადამე, თუ გვსურს შევიტყოთ, რამდენად შეჰგუებია ქართველი ერი თავის ეროვნულ თვით-შემეცნების აზრს, საკმარისია გადავათვალიეროთ ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციები და გავითვალისწინოთ, რამდენად ნაყოფიერია მათი ფუნქციები, მათი შრომის შედეგები.

ამ წერილში ჩვენ გვსურს ერთხელ კიდევ დავანახვოთ მკითხველებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერის გათვითცნობიერების საქმეში ეროვნულ მუსიკის განვითარებას, სამშობლო მუსიკის შესწავლას და მოკლედ შევეხოთ ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების მოქმედების ისტორიას, ამ მოქმედების ანგარიშს და საზოგადოდ ქართულ ეროვნულ მუსიკის აწინდელ მდგომარეობას.

მუსიკა—ეს ისეთი ძლევა-მოსილი ფაქტორია ყოველ ერის გათვითცნობიერების საქმეში, რომ მის აღორძინების და განვითარების ისტორიულ მსვლელობის შესწავლა უნდა შეადგენდეს საგანს ყოველ განათლებულ ადამიანისას.

ავიღოთ თუნდ ჩვენი ეროვნული მუსიკა, ხალხური სიმღერები.

ყოველი ისტორიული ფაქტი, რომელსაც ალაგი ჰქონია ჩვენი ერის წარსულ ცხოვრებაში ნათლად გამოსჭვივის და ინახება ხალხის მიერ შეთხზულ-წარმოშობილ სიმღერებში, მუსიკაში. თუ ჩვენი ერის ხანგრძლივ ისტორიულ მსვლელობაში წარმოშობილა რაიმე ტრაგიკული ფაქტი, ამ ფაქტის შინაარსი ჩამოისხმება, ჩამოყალიბდება ერის მუსიკალურ ნაწარმოებში, ხალხურ სიმღერებში. ამ გვარი სიმღერები მუდამ ნათლად ხატავენ ხალხის სულიერ განწყობილებას: ეს სიმღერები მუდამ კაეშნიანი, ნაღვლიანი, მწუხარე გრძნობით არიან გაჟღენთილნი და ამიტომ ყველა, ვინც ყურს უგდებს ამგვარ მუსიკას, მთელი თავის სულიერ ცხოვრებით გადადის და განიცდის იმ სულიერ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფებოდა ის, ვინც სთხზავდა ამ მუსიკას.

ასეთივე გავლენა აქვს იმ ხალხურ სიმღერებსაც, რომელნიც გამოხატავენ ერის აყვავების, ბედნიერების, კეთილ-დღეობის და პოლიტიკურად ძლიერების ხანას.

მაშასადამე ხალხური მუსიკა ეს ერთგვარი სარკეა, რომელშიაც ღრმად და ნათლად იხატება ერის სულიერი აღმაფრენა, მისი „მე“, რომელიმე ეპოქის პოლიტიკური მდგომარეობა და სხვა.

ხალხურ სიმღერების, ეროვნულ მუსიკის განვითარება-შესწავლის სურვილი თუ უკვე დაბადებულა ჩვენში და თუ ამ სურვილს მოჰყოლია პრაქტიკული მუშაობა და ამ უკანასკნელს კი—ნაყოფიერი შედეგი, ცხადია ქართველი ერი შეჰგუებია თავის ეროვნულ-კულტურულ თვით-შემეცნების აზრს, თუ ბევრად არა, ამ მხრივ მაინც.

ჯერ კიდევ 1897 წელს ქართველ ინტელიგენციის ერთ-ერთ ჯგუფში ჩაისახა აზრი ისეთ საზოგადოებრივ ჯგუფის დაარსებისა, რომელსაც საფუძვლად დაედებოდა ქართველ ხალხის ეროვნულ მუსიკის შესწავლა-განვითარება. ინიციატივა ამ საქმეში ეკუთვნის განსვენებულ ლადო აღნიაშვილს; მაგრამ, ვინაიდან მაშინ თეორეტიულად განათლებული მუსიკოსები ძალიან ცოტა მოიპოვებოდნენ ჩვენში, ეს აზრი მხოლოდ აზრად დარჩა და მას განხორციელება მხოლოდ 1905 წელს ეღირსა.

9 იანვარს 1905 წელს მოჰხდა პირველი საზოგადო კრება ქართველ საზოგადოების იმ წევრთა, რომელთაც დიდი ხანია რაც სურვილი ჰქონდათ დაეარსებინათ ქართული მუსიკალური საზოგადოება და ამით როგორც ქართულის, ისე საზოგადო მუსიკის შესწავლა-განვითარებას და გავრცელებას შესდგომოდნენ.

აი, ამ დღიდან ჩაეყარა საძირკველი ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას, რომლის პირველმა გამგეობამ (ი. სულხანიშვილის თავმჯდომარეობით) შეიმუშავა წესდება საზოგადოებისა და შეუდგა თავის მიერვე შედგენილ პროგრამის ნაწილ-ნაწილად განხორციელებას.

საზოგადოების მიზანი იყო: შეკრება, შესწავლა-განვითარება ქართულ სახალხო სიმღერებისა და ქართულ მუსიკისა, მათი გავრცელება საზოგადოებაში და ხალხში, რათა ამით აღეძრათ ქართველთა შორის სიყვარული მუსიკისადმი, მუსიკალურ განათლების მსურველთა დახმარება, და სხვ.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ფილარმ. საზ.-ის მიზანი მრავალმხრივია.

ვნახოთ, რამდენად მოიყვანა სისრულეში საზოგადოებამ თავისი მიზანი.

პირველ-ყოვლისა ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოების წესდებაში შეტანილი მუხლი, რომელიც ამბობს: საზოგადოება ჰმართავს კონცერტებს, სიმფონიურ საღამოებს, სდგამს ოპერებს და ოპერეტებს, რომელზედაც ასრულებული იქნება როგორც ქართული, ისე რუსული და საზოგადო უცხოქვეყნიური მუსიკა, რითაც ხელს უწყობს იგი ქართველთა შორის მუსიკის სიყვარულის განვითარებასა —ეს მუხლი ამ ბოლო დროს თითქოს სრულიად განდევნილია საზოგადოების მოქმედების პროგრამიდან. რისთვის ხდება ეს ასე მაშინ, როდესაც ქართველი საზოგადოება მუდამ ჯეროვან ყურადღებით და სიყვარულით ეკიდებოდა ამ საქმეს და აფასებდა კიდეც! რისთვის არის, რომ ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ფილ. საზ. გამგეობამ არც ერთი სერიოზული კონცერტი არ უწყალობა ქართველ საზოგადოებას, წარსულ წლების მიხედვით? გამგეობის კრებათა საქმე წიგნებიდან სჩანს, რომ გამგეობას ერთ-ერთ თავის სხდომაზე დაუდგენია აღარ გამართოს არავითარი კონცერტი, არ დასდგას ოპერები, რადგან ყოველ ამ შემთხვევაში საზოგადოება იძულებულია დეფიციტები შეამსოს.

ჩვენ ვიცით, რომ ქართველ საზოგადოებას ქართული მუსიკა სწყურია, ვიცით რომ ყოვლად უილაჯო და უფერული კონცერტებიც კი არა ზარალობენ, მაშ და რა მიზეზია, რომ ფილარ. საზოგადოების გამგეობამ ასე უღვთოდ მოუსპო საზოგადოებას შეძლება მოესმინა სერიოზული კონცერტები და ოპერები.

ეს ჩვენთვის გაუგებრად რჩება და იქნება შემდეგში მაინც გამოირკვეს.

რაც შეეხება მეორე, არა ნაკლებ სერიოზულ და სასარგებლო მიზანს—სახალხო სიმღერების, საეკლესიო საგალობლების და სხვათა შეკრება-შესწავლა და განვითარებას,—ფილ. საზოგადოებამ ბ-ნ ზ. ფალიაშვილის მეოხებით და შრომით უფრო მეტად სძლია, საკმარისია მოვიხსენიოთ საზ—ის მიერ გამოცემული ნოტები, რომელიც მას 1,000 მანეთამდის დაუჯდა და რომელიც თითქმის აღარც კი იშოვება გასასყიდათ, საკმარისია მივიღოთ მხედველობაში ისიც, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ნოტების გამოცემას ქართულ მუსიკის ლიტერატურისთვის და დავრწმუნდებით, რომ გამგეობამ ამ შემთხვევაში უფრო, მეტი უნარი და ნაყოფიერება გამოიჩინა.

შემდეგ, არ შეიძლება არ შევეხოთ ფილ. საზ. მუსიკალურ სასწავლებელს, რომლის ნაყოფიერ მუშაობაში წელს უკვე თვითონ დარწმუნდა ქართველი საზოგადოება.

მაგრამ ყველა ამის აღნუსხვა ძალიან შორს წაგვიყვანს. ისედაც ცხადია, თუ რამდენად სასარგებლოა ეს საზოგადოებრივი ჯგუფი ჩვენი ერის გათვითცნობიერების საქმისთვის.

ამას ჰგრძნობს ყველა, მაგრამ ჩვეიათად თუ სხვა რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფები უწევენ ამ სიმპატიურ საქმეს ან ქონებრივ ან ზნეობრივ დახმარებას. დღიდან დაარსებისა ფილ. საზოგადოებამ მხოლოდ შემდეგი მატერიალური დახმარება მიიღო: განსვენებულ კნ. ს. დიასამიძისაგან, პირველ გამგეობის წევრისაგან ნაანდერძევი ოთხი ბილეთი გირავნობის ფურცლებით, არტისტიულ საზ-ის წევრთაგან 100 მან., თავ. თუმანიშვილისაგან 200 მან., დ. ზ. მელიქიშვილისაგან—100 მან., ტფ. თ-აზნაურობის საკრებულოსგან ერთხელ 100 მან. და როიალი, მეორედ —წელს—500 მან.

აი მთელი დახმარება, რომელიც მიიღო ფილ. საზოგადოებამ დაარსების დღიდან 6 წლის განმავლობაში.

და გვგონია, რომ ამგვარი უყურადღებო დამოკიდულება ამ საზოგადოებისადმი გამოწვეული უნდა იყვეს თითქოს უნდობლობით, თითქოს საქმის არა სასურველ წესრიგით, თითქოს იმ მოსაზრებით, ვითომ ამ საზოგადოებრივ ჯგუფს არ შეუძლიან თავისი წვლილი შეიტანოს ერის გათვითცნობიერების საქმეში.

თუ ასეა, რატომ ქართველ საზოგადოების მომეტებული ნაწილი, ის ნაწილი, რომელსაც უკვე შეგნებული აქვს მნიშვნელობა ერის თვით-შემეცნებისა, რატომ ეს უკანასკნელი მთელი თავის შემძლებლობით არ იღებს მონაწილეობას იმ საქმეში, რომლის ნაყოფიერება ერთ-ერთი ნაკადია იმ წყაროისა, რომელსაც ერის კულტურა, ერის განვითარება, ერის წინსვლა და თვით-შემეცნება ეწოდება!..

**შალვა ტატიშვილი.**

თავიანთ საქციელს? ჩვენ გვინდა ადგილობრივ ადმინისტრაციას გავაცნოთ ჩვენი საჭიროებანი და ვებრძოლოთ იმ მოჭორილ ამბებს, რომელსაც „გოლოს კავკაზა"-ს მსგავსი გაზეთები სახავენო. ჩვენ მაშინვე აღვნიშნეთ, რომ ეს საკმაო გასამართლებელი საბუთი არ არის. ადგილობრივი ადმინისტრაცია დღიურ გაზეთებიდან ვერავითარ ცნობებს ვერ ამოკრეფდა, „გოლოს კავკაზა"-სთანა გაზეთებთან ბრძოლა კი არა ღირს იმად, რომ ქართველმა საზოგადოებამ დღიური გაზეთები შეინახოს.

ჩვენთვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ ქართველების რუსული გაზეთებამ თავის პირდაპირ მიზანსაც გადაუხვევდა და გადაიქცეოდა იმნარს გაზეთებად, სადაც უმთავრესი ყურადღება ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრების დღიურ ჭირ-ვარამს მიექცეოდა. ასეც მოხდა. ჩვენი ცხოვრების საკითხებმა უმთავრესი ადგილი დაიჭირეს, მაგრამ რადგანაც ფართო მასა ჩვენი საზოგადოებისა, აღზრდილი განსაზღვრულ იდეიურ ნიადაგზე, დაშორებული იყო რუსულ გაზეთებს, ეს უკანასკნელნიც პატარ-პატარა ჯგუფთა აზრების გამომხატველად გადაიქცნენ. არავითარი პრინციპიალური აზროვნება არ ასულდგმულებს ამ გაზეთებს, უპრინციპობაზე აგებული ჯგუფობრივი ინტერესები სჭარბობს საზოგადოებრივ ინტერესებს. ეს კი ისეთი დაღმართია, რომელსაც უფსკრულისკენ მიჰყავს ადამიანი.

ქართველების რუსული გაზეთები ამ დაღმართზე იდგნენ და სრულიად ბუნებრივად უფსკრულისკენ დაექანნენ. გადაათვალიერეთ „ზაკავკაზ. რეჩ"-ისა და „ზაკავკაზიე"-ს ნომრები და თქვენ ნათლად დაინახავთ, რომ ორივე გაზეთს ერთმანეთის ლანძღვა-გინებაში ამოსდით სული. ვინ ვისა ლანძღავს, რად ლანძღავენ ერთმანეთს,—ეს მკითხველთა ფართო საზოგადოებისთვის საიდუმლოებითაა დაცული. ერთი კი ცხადია ყველასთვის:

ამ გაზეთებში პირადი მტრები უსწორდებიან ერთმანეთს. დღეს „ზაკავკაზიე" მუტრუკებად (ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, ეს „ზაკავკაზიეს"-ს სიტყვაა) მონათლავს ქიზიყელებს იმიტომ, რომ რომელიღაც ინჟინერის მოქმედება არ მოსწონს, ხვალ „ზაკავკაზ. რეჩ"-ი უკბილოდ იოხუნჯებს, რომ თავად-აზნაურთა წინამძღოლმა არ იცის, გამგეტა ვინ არისო. ერთის სიტყვით, დღე ისე არ გაივლის, რომ ერთმანეთი არ გალანძღონ, არ დაამცირონ, გაზეთი, ბეჭდვითი სიტყვა პირად თავ-მოყვარეობის დასაცველ ფურცლებად არ გადააქციონ.

ყველა ეს ძალიან კარგი, მაგრამ საზოგადოებამ რაღა დააშავა? რა დანაშაულობა მიუძღვის მკითხველთ, რომ თქვენ პუჭყიან გულის ზრახვათა მესაიდუმლეთა ჰხდით? ეს აბუჩად აგდებაა მკითხველი საზოგადოებისა, ეს გამასხარავებაა ბეჭდვითი სიტყვისა, რომელსაც, მადლობა ღმერთს, ჩვენში ჯერ კიდევ ნდობით ეკიდებიან.

მაგრამ კუზიანს ხომ სამარე ასწორებს! ვუსურვებ ქართველ შეგნებულ საზოგადოებას, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია პატივისცემა ბეჭდვითი სიტყვისადმი, ვისაც უყვარს ქართული მწერლობა და საზოგადოებრივი საქმე,—ვუსურვებ ამ საზოგადოებას ქართველთა მიერ გამოცემულ რუსულ გაზეთების მესაფლავებად გადაიქცნენ. ამ გზით სიარული ყოვლად შეუძლებელია. ერთის წლის განმავლობაში ამ ორმა რუსულმა გაზეთმა ისეთი შმორის სუნი დააყენეს, რომ კაცს დაახრჩობს. მათ ასაზრდოებს თანაგრძნობა საზოგადოებისა, და თუ ეს თანაგრძნობა არ იქნება, ჩვენი საზოგადოებრივობის გამხრწნელი გაზეთებიც აღარ იქნება. ყველა შეგნებულ ქართველის ზნეობრივ მოვალეობას შეადგენს ჯეროვანის ყურადღებით მოეკიდოს ამ მოვლენას, ზურგი უბრუნოს ამ გაზეთებს, როგორც გახრწნილობის საბუდარს, და ამით სამუდამოდ მოუსპოს მათ არსებობა...

**შინაური.**

## ტფილისის გუბერნიის სათ.-აზნ. კრებაზე

12 ივნისი

კრება შუადღისას დაიწყო.

თ-დ დ. გ. ჯორჯაძის წინადადებით მთელი ანგარიშის ნაცვლად საერთო ანგარიშის ხასიათის მოხსენებას ჰკითხულობენ და გზა და გზა ზოგიერთ საგულისხმიერო საკითხებზე ჩერდებიან. ერთ ასეთ საკითხად გახდა ანგარიშის ერთი მუხლი, სახელდობრ 64 ათასი მანეთი, რომელიც თ-დ აბხაზისა და თ-დ დ. ფავლენიშვილის შენიშვნით არ იყო ჩართული თავად აზნაურობის შემოსავალთა აღსანუსხავ მუხლებში. მათ მხარს უჭერს თ-დი მ. გ. მაჩაბელი და არ ეთანხმებიან თ-დი გურამიშვილის არგუმენტს, რომ ეს თანხა დამოკიდებულია ერთ განსაზღვრულ მიზანზე, რომ იგი არ შეადგენს შემოსავალსო.

თ-დი ჩოლოყაშვილი. ეგ 64 ათასი მანეთი არ არის თავ.-აზ.-ს შემოსავალი, არამედ სრულიად შემთხვევით ვიშოვეთ განსაზღვრულ მიზნისათვისო. როდესაც ჩვენი კომისია პეტერბურგში იყო, მათ შორის მეც გახლდით! სხვა და სხვა ხარჯებისათვის დაგვჭირდა ფული; ავიღეთ და ის 400 ათასი მანეთის აქციები, რომლებიც ჩვენ აზიურ ბანკიდან მივიღეთ, ისევ მალვე დავუგირავეთ 64 ათას მანეთში ერთის წლის ვადითო. ეს ვადა ორ-სამ თვეში თავდება და რა წამს ბანკი მოგვთხოვს ამ თანხას და თუ არ მივეცით, აქციები დაგვეკარგება. ამიტომ ორატორი სრულიად სამართლიანად სთვლის, რომ ეს თანხა შემოსავალში არ არის შეტანილი.

მ. გ. მაჩაბელი. მაშ ეგ ფულები აზიურ ბანკისა ყოფილა და არა თავ.-აზნ.-სა, თუ როდესაც ჰსურს მას ვერ დახარჯავს. თუ ბანკს დახარჯვის ნება აქვს, ეგ ფულიც ჩვენი ყოფილა, ჩვენ შემოგვსვლია და შემოსავალში უნდა შეგვეტანათ, იგი ამ თანხის შემოსავალთა ცხრილში შეუტანლობაში წინა კრების დადგენილების წინააღმდეგობასაცა ჰხედავს, ეს საკითხი მარტო ფორმალურ მხარეს არ ეხებაო. სადაც თავად-აზნაურობა ასი ათასობით თანხას ატრიალებს და ასეთი დიდი ბიუჯეტი აქვს, იქ 64 ათასი მანეთის შენახვაც ისე არ გაჭირდება და ტყუილად აგირევით საქმე, რომ შემოსავალი თავის ადგილას არ არის ნაჩვენებიო.

თ-დ. გურამიშვილმა კრებას გააცნო ამ თანხის ისტორია და შემდეგი მოსაზრებაც დაუმატა: ეგ ფულები შემოსავალში თავისუფალ თანხად რომ გვეჩვენებინა, სხვა თანხებს თუმცა გავათავისუფლებდით, როგორც სამეურნეო თანხას, საადგილმამულო კომისიის თანხას და სხვა, მაგრამ, როდესაც გადახდის დრო დადგებოდა, ფულებს ვერ ვიშოვნიდით და აქციებს დავკარგავდითო.

თ-დი მ. თუმანიშვილი იმეორებს: ეს თანხა არ შეიძლება შემოსავლად დავსახოთო. ეს თანხა თავისუფლად სახარჯავად რომ გადაგვედო, მაშინაც სულერთია ბოლოს და ბოლოს სხვა თანხას ვერ ვიხსნიდით, რადგან ეგ ვალიაო.

(კრებამ ეს 64 ათასი მანეთი დასტოვა იქ, სადაც აღნიშნული იყო).

შემდეგ სამეურნეო თანხაზე შეჩერდნენ, ყურადღება მიაქციეს იმას, რომ თანხა, რომელიც ეძლევა სამეურნეო დაწესებულებათ, აღარ უბრუნდება თავ.-აზნაურობას. გამოსთქვეს სურვილი, რომ შემოსავალში ნუ იქნება მოხსენებული ის თანხა, რომელიც, ნამდვილად ვიცით, არ დაბრუნდებაო.

თ-დ მ. გ. მაჩაბელი. ეგ საადგილმამულო კომისიას მინდობილი აქვს, და ისიც სცდილობს როგორმე დაიბრუნოს. ამ მიზნისთვის კი, სამეურნეო მიზნისთვის, ხარჯები აუცილებელია, რადგანაც უნდა ხელი შეუწყოთ გუბერნიის ეკონომიურ გამაგრებას; ახლა კი ძალიან დაბეჩავებულ მდგომარეობაში არისო. ამრიგად იგი თანახმაა თანხები გარანტიით გაიცეს.

თ-დ დ. გ. ჯორჯაძე და თ-დ დ. გ. გაჩნაძე აღნიშნავენ, რომ თელავის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელისათვის, წ. კ. გამ. საზოგადოებისთვის და სხვა ასე 4—5 ათასამდე მანეთი არ მიუციათ, თუმცა შარშან გადაწყვეტილი იყო მიეცათ. გამოდის, რომ დაბალ ლობედ მიუჩნევიათ ეს დაწესებულებანი. თუ ფულები დაგაკლდებაო, ჩვენ დაწესებულებათ კი ნუ აკლებთ თავის ხვედრს, სხვა დაწესებულებათ დააკლით, რომლებიც ჩვენგან უფრო შორს არისო. ეგ ცუდი პრეცედენტია, ბოლოს ჩვეულებად გადავა და ვინ იცის სადამდე მივალთო.

თავმჯდომარე განმარტავს, რომ ჩვენ კი არ დაგვიკლია, ან და კი არ მოგვისპია ეგ დახმარება, დროებით იმათ არ ესაჭიროებოდათ ისე ძლიერ ეს ფულები და ჩვენც დროებით გადავდევით მათთვის მიგვეცაო.

შემდეგი კრება დანიშნულია ორშაბათს საღამოს 8 საათზე.

## მოწერილი ამბები

**ს. გურჯაანი** (შუა კახეთი). აპრილის 26 რიცხვიდან დაწყებული თითქმის უოველ-დღე სწვიმდა მთელი თვის განმავლობაში, მაგრამ წვიმას ვინ დაეძებდა, რომ სეტყვაც თან არ მოჰყოლოდა ხოლმე. ამ ერთ თვეში სამჯერ დასეტყვა მთელი ბაკურციხის ნაწილის ვენახები, უკანასკნელად 26 მაისს ისეთი სეტყვა მოვიდა, რომ მიწა მთლად დაჭყვარა, რომლის გადნობამ თითქმის 50 წუთამდე გასტანა და, რასაკვირველია, ზარალიც დიდი მიაყენა ვენახებს.

დიდი ხანია რაც სეტყვასთან საბრძოლველ მორტირების გამოწერის სურვილია აძრული, მაგრამ დღევანდლამდე ვერ დაუბოლოვებიათ ეს საქმე შემდეგი მიზეზებისა გამო: როგორადაც თავადიშვილებს, ისე გარეშე პირებს, რომლებიც არ ეკუთვნიან გურჯაანის საზოგადოებას დიდი მამულები აქვთ ამ სოფელში, ზოგი მათგანი აქ არა სცხოვრობს და ვინც სცხოვრობს, სათანადო ყურადღებას არ აქცევს ასეთ ფრიად სასარგებლო საქმეს, გლეხები კი გაიძახიან „ჩვენ ტყავი გავიძროთ და თავადებმა და მოსულებმა ისარგებლონო", ჩვენ ვფიქრობთ, გლეხების დასახელებული საბუთი სამართლიანია, მაგრამ, როდემდის უნდა ბრძანდებოდნენ ასე გულგრილად ჩვენი მამულის პატრონები? დროა, ეხლავე ამოარჩიონ თავის მხრივ რამდენიმე სანდო პირი, წაბარონ მათ თავისი ხვედრი ფული ვენახების რაოდენობის მიხედვით და ამ უკანასკნელებმა ეს ფული შეიტანონ კასაში საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე. მაშინ გლეხობა აღარ შეჰხედავს მათ უნდო თვალით და უველა თავის ხვედრს გამოიღებს. ამრიგად მომავალ წლისათვის გურჯაანის საზოგადოებას მორტირები ექნება და აღარც ვენახები დასეტყვდება.

27 მაისს მოხდა გურჯაანის წიგნთსაცავ-სამკითხველოს წევრთა წლიური კრება. კრებამ გამორიცხა ის პირები, რომლებსაც საწევრო ფული არ ჰქონდა შემოტანილი და დანარჩენ წევრთა დასწრების მიხედვით კრება კანონიერად ჩაითვალა.

კრებამ დაამტკიცა გამგეობისაგან წარმოდგენილი წლიური ანგარიში, ახალი წევრები მიიღო და შემდეგ, თანახმად თავმჯდომარის წინადადებისა, ფარულის კენჭის ყრით აირჩია გამგეობა 5 კაცისაგან შემდგარი და სარევიზიო კომისია 3 კაცისაგან. გამგეობაში არჩეულ იქმნენ ისევ ძველი წევრები გამგეობისა: დ. ჯავახიშვილი, გიორგი ზარდიაშვილი, ნიკ. იაშვილი, მღვდ. გ. წიბაძიშვილი და ქ. ე. ნატროშვილი, სარევიზიო კომისიაში: მღვდ გ. ჭანტურიძე, ტ. ხაზიძე და გ. სარაჯიშვილი. შემდეგ უველამ სურვილი გამოსთქვა სამკითხველოს შენობის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. ტფილისის მთავარ გამგეობის განკარგულებაში გარდაცემაზე; მხოლოდ რადგანაც ადგილი საზოგადოებას ეკუთვნის, ამის შესახებ მოელაპარაკოს მას.

დასასრულ კრებამ მადლობა გადაუხადა გამგეობას და უსურვა შემდეგისათვისაც ნაყოფიერი მუშაობა.

როგორც ამბობენ, ადგილობრივი ერთკლასიანი ქალთა სამრევლო სკოლა მეტად უსახსრო მდგომარეობაშია და დაკეტვაც მოელის. დროა ჩვენმა სულიერმა მამებმა შური უკუაგდონ და სკოლის საქმეს მოეკიდონ ისე, როგორც სამართლიანობა და საზოგადოებისთვის სარგებლობა მოითხოვს.

წარსულ წელს გურჯაანის საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ადგილობრივ ერთკლასიან სამინისტრო სასწავლებლის ორკლასიანად გადაკეთების და მესამე მასწავლებლის ხაზინის ჯამაგირით დანიშვნის თაობაზე, განაჩენიც გაგზავნა ადგილობრივმა შუამავლმა თავ. ი. ჯორჯაძემ სადაც ჯერ არს, მაგრამ დღემდის არაფერი ამბავი ისმის, თუმცა სახალხო სკოლების 2-რე რაიონის ინსპექტორმა ბ. ზოგარელიძემ წინდაწინვე იმედი მისცა საზოგადოებას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

როგორც მკითხველებს ეხსომებათ, შარშან ადგილობრივი ინტელიგენციისაგან რამდენიმე შეგნებულმა პირმა განიზრახა ახტალის ტალახების სამკურნალოს თავშესაფარის და ჯერ-ჯერობით ორი ოთახის გამართვა, მაგრამ ტალახების (ახტალა) მეპატრონეების სიმრავლისა და მათ მოწინავე პირების დაუდევრობის მეოხებით დასახელებული მიზანი ვერ განხორციელდა. ამის შესახებ ამას წინად აქ მოილაპარაკეს სიღნაღის მაზრის მარშალს თავ. ანდრონიკაშვილს, მაგრამ რაღაც მიზეზებისა გამო არ მოვიდა და იმედი გვაქვს შემდეგ მაინც ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს თავ. ანდრონიკაშვილი, მით უმეტეს, რომ უოველ წლივ მატულობს ავადმყოფების მისვლა. წელსაც ხშირი თვალით ვნახე, რომ მასში ეძებდნენ სახლებს საქირაოდ.

**ხეფინიხეველი.**

**ბელაგორი.** 5 ივნისს სალიტერატურო დილა გაიმართა. მონაწილეობდნენ პატარა მოწაფეები აქაურ ორკლასიან სახალხო სკოლისა და ქალთა ერთ-კლასიან სასწავლებლის დიდამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ქ-ნ ანნა ედიბს კარგად მოემზადებინა მოსწავლეები. პატარა ქალმა ხარაძემ საუცხოვოდ წაიკითხა ლექსი. სასულიერო სკოლის მოსწავლეებში თავი ისახელა ბავშმა ლევანიძემ. შემდეგ ითამაშეს ბავშვებმა პატარა სამხიარულო პიესა. ბავშმა მაისურაძემ ისე საუცხოვოდ ითამაშა, რომ აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება.

მღეროდა მოსწავლეთა გუნდი ბ-ნ ტრ. შუბლაძის ლოტბარობით... სიმღერები კარგი არჩია, მაგრამ მკრთალად შეასრულეს. მათში საუკეთესო იყო „თამარ მეფე და ხონთქარი", „ყვანგადა" და სხვები.

**მგ.**

## ალბანეთის აჯანყება

დეპეშები

11 ივნისი.

**ცეტინიე.** მეფის თავმჯდომარეობით მოხდა მთელი დიპლომატიური კრების თათბირი. მეფემ გადაჭრით განაცხადა მობილიზაცია. თიბათვის 11 ოსმალეთის ელჩი თათბირის შემდეგ პოდგორიცაში მოვა, ალბანელთა ყველა მეთაურები შეიკრიბებიან და ელჩი მოელაპარაკება დამშვიდების შესახებ და ყველაფერს დაწვრილებით გამოჰკითხავს. თათბირზე მეფემ თავისი მშვიდობიან-მოყვარეობა განაცხადა და სთქვა, მსურს, რომ უცხო სახელმწიფოთა რჩევას დავუჯერო, ოსმალეთთან შეტაკებას მოვერიდო და სრული ნეიტრალიტეტი დავიცვაო. თან სინანული განაცხადა იმის შესახებ, რომ იარაღ დაყრილ ალბანელთა ამნისტია გარკვევით არას ამბობსო. ოსმალეთის ელჩმა განაცხადა, რომ რაც უნდა იყოს, ალბანელებს ის მიეცემათ, რასაც ნოემბერში ბედრი ფაშა დაჰპირდაო, ე. ი. სამხედრო ბეგარას სკუტარის ვილაეტში მოიხდიან. თავის მშვიდობიან მოყვარეობის დასამტკიცებლად, მეფემ ბრძანა, ვითომც, რომ ჩემს მიწაწყალზე ოსმალებს ეზერის სიმაგრე აქვთ გამართულიო. თან იმედი გამოსთქვა, უეჭველია ოსმალეთი ამ საკითხს კარგად გადასწყვეტსო.

**პოდგორიცა.** თიბათვის ათს კასტრატელების, კლემენტელების, ხოტელების და ტუზელების თემთა მეთაურებს თათბირი ჰქონდათ. გადასწყვიტეს იარაღი არ დავყაროთ და სისხლის უკანასკნელ წვეთამდის ვიბრძოლოთო. დაუბრუნდნენ თუ არა ამ თემის მამასახლისები თავიანთ თემებს, იმავ ღამესვე ყველგან ბრძოლა ასტყდა. ალბანელები ოსმალებს თავს დაეცნენ. სროლა მთელ ღამეს იყო, ოსმალები თავიანთ ადგილას დარჩნენ. ოსმალეთის ელჩი სადრედინ-ბეი პოდგორიცაში მოვიდა და ნეიტრალიტეტ მეთაურებს ელაპარაკა. ალბანელთა ერთმა ნაწილმა დაფანტული მეზღვაურები დაიბარა, როცა ყველანი შეგროვდებიან, კონფერენცია მოხდება. ელჩს იმედი აქვს, რომ ალბანელებთან შეთანხმდება.

12 ივნისი

**ვენა.** „ვინერ-ალგემეინე-ცაიტუნგის" გუშინდელი ოფიციოზური წერილი ამბობს, რომ რასაც ოსმალეთი ალბანელებს დაჰპირდა საკმარისად გარკვეული არ არის. მარტო ამნისტია არა კმარობს. ოსმალეთმა ალბანელებს ნება უნდა მისცეს ალბანელებად დარჩენისა და დანარჩენებიც ჩქარა შეასრულოსო.

**პოდგორიცა.** გუშინ ოსმალეთის ელჩთან ალბანელია 60 მეთაური შეგროვდა. სადრედინ-ბეიმ მათ სულთანის მაგიერად სიტყვით მიჰმართა და ურჩია ორივე მხარისათვის საზარალო ბრძოლას თავი დაანებეთო. დღეს ელჩთან ალბანელი ქალები იყვნენ. თვალ-ცრემლიანნი სთხოვდნენ, შინ დაბრუნებაში შეგვეწიეო. ეშინიათ, ვაი თუ ოსმალებმა უკმრებოდ შვილებიანად სახლში არ შეგვიშვანო. ელჩმა დაამშვიდა ქალები და დახმარება აღუთქვა.

### გაზეთებიდან

ოსმალელები ქვეყანას არწმუნებენ, აჯანყება გათავდაო და ამით ევროპის საზოგადოებრივ აზრის მოტყუება ჰსურთ. ნამდვილად კი აჯანყება ჯერ არ გათავებულა. მალესიაში აჯანყებულებმა გადასწყვიტეს ამნისტია არ მიიღონ. მრავალ ადგილს ჯარებსა და აჯანყებულთ შეტაკება ისევ მოსდით. თუმცა შუაგულ ალბანიაში ჯერ-ჯერობით მშვიდობიანობაა, მაგრამ იმიტომ კი არა, ვითომც ოსმალებს აჯანყება ჩაექროთ, არამედ იმიტომ, რომ იქ აჯანყება ჯერ არ დაწყებულა, ე. ი. იქ ჯარსა და ხალხს შეტაკება ჯერ არ მოსვლიათ. თუ ჯარი შუაგულ ალბანიაში შევა, მაშინ აჯანყება იქაც დაიწყება. ამ ხანად ალბანეთის საკითხი იმავე მდგომარეობაშია, როგორშიაც ამ ოთხი თვის წინედ იყო. სულთანის მოგზაურობამ საქმეს ვერაფრით ვერ უშველა. მუდამ შეიძლება, რომ საქმე ხელახლად გართულდეს. მიზეზი ისევ ოსმალები იქნებიან. ალბანეთის საკითხი უკვე შინაურ პოლიტიკურ საკითხების წრიდან გადის და საერთაშორისო საკითხად ხდება.

ალბანელები იარაღს არა ჰყრიან. სულთანის დაპირებებმა ისინი ვერ მოისყიდეს. ედხემ-ფაშის ჯარს მოსვენებას არ აძლევენ. შალესა და შოშოს თემები დრივასტის მახლობლად მოქმედებენ. ჰხოცავენ იმ მაჰმადიანთ, რომლებმაც მთავრობისაგან იარაღი მიიღეს. აჯანყებულებმა ორი სოფელი, დოშტინი და სუმა, და ერთი მეჩეთი დანგრიეს. მირიდიტელების მოწინავე რაზმი პირდაპირ ებრძვის ოსმალელებს. ამნისტიას აჯანყებულნი არ უჯერებენ, სულთანმა არავითარი პირობები არ მოგვცაო. ამ ამნისტიაზე მეგობრებთან მოსალაპარაკებლად ალბანეთის დროებითი პრეზიდენტი ტოცცი ანდრიევიცში წასულა.

## უცხოეთი

**საფრანგეთი და ისპანია.**

რაც ისპანიამ მაროკოში ჯარები გაგზავნა და ქალაქები დაიჭირა, მას შემდეგი სპანიასა და საფრანგეთს შორის დიპლომატიური მოლაპარაკება არ შეწყვეტილა, ყველა დარწმუნებული იყო, რომ საფრანგეთი არას დაუთმობდა ისპანიას, და რახან იმაშიაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ისპანიას ჩუმ-ჩუმად ყილაც ჰშველოდა, ამიტომ საქმის გართულების ეჭვი არა ჰქონდათ. ეხლა კი, როგორც ეტყობა, საქმე სხვანაირად დატრიალებულა. პარიზში ხმა გავრცელებულა, საფრანგეთმა ისპანიასთან მოლაპარაკება შესწყვიტაო. დამნაშავედ ისპანია გამოჰყავთ, რომელმაც საფრანგეთს საპასუხოდ ვითომ ისეთი ნოტა წარუდგინა, რომ საფრანგეთმა პასუხის გაცემა საჭიროდ აღარ ჩასთვალაო. როცა ორ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკება ასე ერთბაშად და უშედეგოდ თავდება, ჩვეულებრივ ომი იწყობა ხოლმე. ამ შემთხვევაში კი საქმე ამ გზით არ წასულა ჯერ-ჯერობით მაინც. საფრანგეთი, როგორც ეტყობა, დათმობის გზას დასდგომია, თავშეკავებულად იქცევა და სცდილობს, რომ თუ რამე მოხდა ყოველივე ბრალდება ისპანიას მოახვიოს თავს. ამბობენ, საფრანგეთი ფეციდან ჯარებს იმ თვის ბოლოში გაიყვანსო და მაშინ ისპანიაც იძულებული იქნება, ნებსით თუ უნებლიედ ქ. ლარაშსა და ელკსარზე ხელი აიღოს.

საფრანგეთი, რასაკვირველია, ასე არ მოიქცეოდა, რომ ისპანიის ზურგს უკან სხვა არ იმალებოდეს, ის, ვისაც ისპანიამ მაროკოში ჯარების გაგზავნის „უფლება გამოსთხოვა", ე. ი. ის, ვინც დახმარებას დაჰპირდა. საფრანგეთი მარტო ისპანიის წინ არ დაიხევდა. მას შემდეგ, რაც ისპანია ამერიკამ დაამარცხა ისპანიის სამხედრო ძალები ძალიან სუსტია, მის გამოსწორებას დიდი რეფორმები დასჭირდება და საფრანგეთის სამხედრო ძალები კი ევროპის ერთ საუკეთესო ძალებად ითვლება. მიუხედავად ამისა ისპანია გულადად იქცევა. ამას წინედ მის პრემიერ-მინისტრს კანალეხას ერთი გაზეთის თანამშრომლისათვის უთქვამს: ჩვენი მიზანია, ცეუტსა და მელილლეში ისპანიის გავლენა გავაძლიეროთ და ლარაშსა და ელკსარში წესიერება დავამყაროთო. მაგრამ თუ ვინმემ ჩვენს ჯარს ხელი შეუბრუნა, მაშინ კი, ჩვენ ეროვნულ თავ-მოყვარეობის დასაცავად ჩვენც ხელს გამოვიღებთო. საფრანგეთთან მეგობრობა მინდა, მაგრამ ისპანიის ღირსებას კი ყველაზე წინ ვაყენებო. არც ისპანური გაზეთები ისვენებენ და საფრანგეთის წინააღმდეგ მთელ კომპანიას ეწევიან. გაზეთი „გერალდო" სწერს: ელ-კსარში შეფირის ჯარს უცდიან, მალე მოვა; ჯარებს ფრანგი აფიცერი შორს ეყოლება მეთაურად, თუ ამან რამე კონფლიქტი გამოიწვია, საფრანგეთი იქნება დამნაშავეო. ამრიგად, საფრანგეთი სცდილობს, თუ ომი მოხდა ბრალი ისპანიას დასდოს, ისპანია კი სცდილობს საფრანგეთი გამოიყვანოს დამნაშავე. ერთი რამ კი ცხადია: მუხლები ისევ ისპანიას უკანკალებს. მას უფრო ეშინიან ვიდრე საფრანგეთს. საფრანგეთს მხოლოდ თავისი თავის იმედი აქვს, ისპანიას კი „მეგობრისა", ხოლო პოლიტიკაში მეგობარი იმასა ჰნიშნავს, რომ თუ საჭირო იქნება „მეგობარი" ზურგს შეაქცევს მეგობარს და შეიძლება მტერსაც დაუმეგობრდეს. საფრანგეთი კი სწრაფად ემზადება. ყოველ შემთხვევისათვის უკვე ორი-სამი კვირაა, რაც საფრანგეთის პარლამენტში ერთი დავაა ატეხილი: თუ ომი მოხდა ვის ჩააბარონ ჯარების უფროსობა—ერთ კაცს, თუ მთელ კომისიას. პალატის მემარჯვენენი ერთი კაცის მომხრენი არიან. სამინისტრო და რესპუბლიკელები კი კომისიისა. 7 ამ თვეს საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ ჯარს ერთი გენერალისიმუსი არა სჭირია, ძნელია, რომ მთელი ქვეყნის ბედი ერთ კაცს ჩაჰბარდესო. მაგალითად ნაპოლეონი მოიყვანა. მინისტრის აზრით, მინისტრთა საბჭოს შეუძლიან შემწეობით ხელმძღვანელობა გაუწიოს ომს. რესპუბლიკანელები გუარანის განცხადებამ გაახარა. მათის სიტყვით, გუარანის გეგმას სალდათებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. დემოკრატიასა ჰსურს, რომ ყოველივე ხიფათი თავიდან აიცილოს. ყველამ კარგად იცის, თუ რამდენად სახიფათო რესპუბლიკისათვის ძლევამოსილი გენერალი. როგორც ვხედავთ საფრანგეთი „უეცარ შემთხვევისათვის" ემზადება. თუ რას აკეთებს ისპანია, ამის შესახებ ჯერ არაფერი ისმის.

### მაროკო და ევროპა.

ევროპის სახელმწიფონი მაროკოს საქციელს ალჟირის ხელ-შეკრულების დარღვევადა სთვლიან, მაგრამ ჰგონიათ კი, რომ ისპანია საიდუმლო ხელ-შეკრულების ძალით იქცევა ასეო. ამიტომ არც ერთი სახელმწიფო, ინგლისიც კი მაროკოს საქმეებში არ აპირებს ჩარევასაო, მაგრამ მისთვის კი განუცხადებიათ, თუ გაგიჭირდა, არავინ არ მოგეშველებაო. ასე ირწმუნებიან ვენელი დიპლომატები. პეტერბურგის დიპლომატიური წრეებში კი სულ სხვანაირი აზრია გავრცელებული. პეტერბურგელებს საიდანღაც გაუგიათ, ვითომ ინგლისი დაინტერესებულ სახელმწიფოებს წინადადებას აძლევს მაროკო გავიყოთო. მართალია, ეხლა ინგლისელებს მაროკოსათვის არა სცალიანთ, თავიანთ მეფეს აგვირგვინებენ, მაგრამ გათავდება თუ არა ამის ცერემონია, მაშინ მოლაპარაკებასაც შეუდგებიანო. ჯერ-ჯერობით კი ლონდონსა, პარიზსა, ბერლინსა და მადრიდს შორის რაღაც საიდუმლო მოლაპარაკება ყოფილა გამართული. გასაჭირი ამ საქმეში ერთია: როგორ და რანაირად მოუხერხონ გერმანიას, რომელსაც იმედი არა აქვს რამე წილი ერგოს მაროკოში, რომ წილი დაიდოს და თავისი აფრიკანული კოლონიები გაადიდოს. როგორც ამბობენ, ამ მიზნის მისაღწევად გერმანიას უნდა, რომ მაროკოს საკითხი პორტუგალიის აფრიკულ კოლონიების საკითხს დაუახლოვდეს. გერმანიას ამ კოლონიების გვერდით თავისი კოლონიები აქვს. მაშინ ადვილი იქნება გერმანიამაც ხელი გაიწვდინოს მაროკოსაკენ. ამას გარდა, ის აზრიცაა გავრცელებული, ვითომც გერმანია მაროკოზე ხელს აიღებს, თუ კი ინგლისი და საფრანგეთი ნებას მისცემენ, რომ პორტუგალიის კოლონიების ერთი ნაწილი შეისყიდოსო.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 თიბათვე.

## საზღვარ-გარედ.

**პარიზი.** კაბინეთმა სამსახურიდან გადადგომა გადასწყვიტა. პალატის კულუარებში მდგომარეობას ძალიან ძნელადა სთვლიან. თუ ახალი კაბინეთი პროპორციონალურ წარმომადგენლობას დაუჭერს მხარს, მის წინააღმდეგ 200 რესპუბლიკანელი იქნება. ამათ გუშინ პროპორციონალურ წარმომადგენლობაზე პროტესტი განაცხადეს. თუ კაბინეთი ამნაირ წარმომადგენლობაზე უარს იტყვის, მაშინ პალატის უმრავლესობას დაჰკარგავსო. მონისის მოადგილედ ასახელებენ: კლემანსოს, კაიოს, ბრიანს და დელკასსეს.

**პარიზი.** მოხდა მინისტრთა კრება, რის შემდეგაც მინისტრებმა მონისს სამსახურიდან გადადგომის თხოვნები მიართვეს. გაზეთები ამბობენ, მონისის კაბინეთის კრიზისი იმან გამოიწვია, რომ მას გარკვეული და ნათელი პოლიტიკა არა ჰქონდაო; სამხედრო მინისტრის სახიფათო გამოსვლა, როდესაც მან წინადადება შეიტანა ჯარის ხელმძღვანელობის შესახებ, მხოლოდ საბაბი იყო სამინისტროს გადადგომისაო.

რუამ და ფალიერმა მონისისაგან წერილი მიიღო. მონისი ატყობინებს, კაბინეთი თავის გადადგომას ფალიერის დაბრუნებას დაუცდისო.

**ხაფია.** თიბათვის 12 სა ეროვნულ დიდ კრებაზე კამათი გამოიწვია იმ პროექტმა, რომელიც მეფეს უფლებას აძლევს პალატის დაუკითხავად სახელმწიფოებთან ხელ-შეკრულება დასდოს. სტრაში მოსროვმა მოითხოვა ეს პროექტი უარ-ეყოთ და მეფეს ავსტროფილობა დააბრალა,—ავსტრიის მხრით ხიფათი მოგველისო. სტრაში მოროვის სიტყვამ კრებაზე დიდი ხმაურობა გამოიწვია ისე, რომ კრების საჭირო გახდა შეწყვეტა. კრების განხილვის შემდეგ ტეშოვმა ითხოვა, მეფეს ნურაფერს დააბრალებთ, ისევ პასუხისმგებელ მთავრობაზე ილაპარაკეთ ხოლმეო. სტრაშომიროვმა თავის სიტყვა უფრო რბილი კილოთი დაამთავრა, ბოლოს ითხოვა, ნუ მიიღებთ ისეთ კანონს, რომელიც არ ევარგება იმ შემთხვევაში, თუ ტახტზე არა სანდო პირი იჯდებაო.

**პარიზი.** პარლამენტის წრეებში ჰფიქრობენ, რომ პრეზიდენტი ახალ კაბინეთის შედგენას ისევ ძველი კაბინეთის ერთ-ერთ წევრსა სთხოვს—კაიოს ან დელკასესაო. ამას იმიტომ ჩაიდენს, რომ კაბინეთის დაცემა მისმა პროგრამამ არ გამოიწვიაო. პალატის დათხოვნაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა მიუხედავად იმისა, რომ რადიკალური პარტია, საარჩევნო უფლების საკითხში ორად გაიყო.

**პარიზი.** მოვიდა ფალიერი. მონისი ინახულა. მონისმა კაბინეთის გადადგომის თხოვნა გადასცა. თხოვნა მიიღეს. კაბინეთი გადადგა. მონისმა ფალიერს ურჩია, ახალ კაბინეთის შედგენა ფინანსთა ყოფილ მინისტრს კაიოს სთხოვესო.

## რ უ ს ე თ ი.

**პეტერბურგი:** დაატუსაღეს გაზეთ „ზვეზდა"-ს 25-ე №. რედაქტორი პონამაროვი 129 მუხლის ძალით სამართალში მისცეს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სათათბიროში შეიტანა პროექტი, რომლის ძალითაც მურმანში ადგილობრივ რუსთა რიცხვი უნდა გამრავლდეს.

**იაროსლავი.** მოხდა ავტომობილთა გაჯიბრება მოსკოვ-იაროსლავის შორის.

**კიევი.** უმანში დაატუსაღეს „გოლოს პროვიდენიას" რედაქტორი ლორენშტეინი, რომელიც ციმბირიდან ყოფილა გამოქცეული.

## წერილი რედ. მიმართ

„სახალხო გაზეთის" № 298-ში მოთავსებული იყო წერილი ბ. ქართველ-კათოლიკესი, სადაც ნათქვამია, ვითომც ნათლიმცემლის ეკლესიის განახლების დროს მის ზედამხედველს მღვდ. ვარძელაშვილს ძველ კედლებში ჩატანებული აუასწლიანი ქართული წარწერები და მშვენივრად მოჩუქურთმებული საფლავის ქვები სრულებით დაემტვრიოს და ამით მოესპოს ჩვენი ძვირფასი ისტორიული წყაროები. ეს ცნობა სიმართლეს არ წარმოადგენს. შენობის აღმშენებელ კომიტეტის მდივანმა სებასტი პეტრეს ძე ნებიერიძემ გადაარჩევინა ის ქვები, სადაც ეწერა ხუცურად და მხედრულად, ცოტად თუ ბევრად გამოსადეგი მომავალ ისტორიისათვის და შეინახა, რომელნიც ამავე ეკლესიის ეზოში ინახება დღესაც.

თუმცა საამშენებლო კომიტეტი იყოვო, სწერს ავტორი, მაგრამ, მღ. ვარძელაშვილმა, როგორც თავმჯდომარემ, ისე დაანგრია და გააკეთა, რომ კომიტეტს არც კი შეჰკითხებიაო.—ეტყობა წერილის ავტორი არ უნდა იყოს ახალციხელი, რადგანაც ზედ-მიწევნით არ იცის გავლილი საქმეები. მღ. ვარძელაშვილს ჰყავდა არჩეული კომიტეტი, ჰყავდა გამგეობა და მდივანი. მე ხშირად დავსწრებივარ საამშენებლო კომიტეტის კრებას, ყველა საქმე სწარმოებდა ხმის უმეტესობით და თავმჯდომარის განკარგულებით აწარმოებდა მდივანი ნებიერიძე და ამისავე ხელში იყო მთელი შემოსავალ-გასავლის დავთარი. ბ. ავტორს შემცდარი ცნობები აქვს იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ქონების რაოდენობაზე; იგი სწერს 17000 მანეთი ნაღდი ფული, 3000 მანეთი ამავე ეკლესიის სამრევლო სკოლის საწარმოებელი ფონდი და 6000 მანეთიც მღ. მ. ვარძელაშვილისაგან შეკრებილი ფული, სულ 26000 მანეთი აქვსო.

მე კი ამ პასუხის დამწერმა საამშენებლო კომიტეტის მდივნის დავთრებში ამოვიკითხე სულ 17000 მანეთი, საიდანაც 2000 მანეთი უსესხიათ 15-20 წლის წინად ზოგიერთ ახალციხის მცხოვრებთ და ჩაილურის წყალს წაუღია, 1000 მანეთი ბარათებით ისევ მრევლში არის ასაღები, 2000 მანეთით მღ. ვარძელაშვილმა ააშენა დუქნები, რომლის შემოსავალი უნდა მოჰხმარდეს ამავე ეკლესიის სამრევლო სკოლას და 2000 მანეთიც სკოლის ფონდიდან ს. უდის ეკლესიის დამთავრებისათვის ისესხეს, რომლის ბარათის დამწერიც მე ვარ. როგორც ამ ციფრებიდანა სჩანს, მღ. ვარძელაშვილს შენობისათვის ჰქონია ეკლესიის თანხა 10000 მანეთი და არა 26000 მანეთი. მე მეტად აღმაშფოთა ბ. ქართველ-კათოლიკის წერილმა იმაზე, რომ 3000 მანეთი სკოლის ფონდიდან დახარჯიაო, როდესაც ამ თანხიდან 2000 მანეთი ს. უდეს გასესხებულია, რომლის მოთავეც მე ვარ.

ავტორი სწერს:

გეგმა გუბერნატორისაგან არ ყოფილა დამტკიცებულიო! როგორ იქმნა, რომ ქალაქის ერთ კუთხეში ვერ მოგიხერხებია ქოხის აშენება და აქ კი მღ. ვარძელაშვილმა ეკლესია ააშენა დაუმტკიცებლად, სადაც სამხედრო არხიტექტორი, ბარონი, თავს ადგა შენობას?..

კიდევ ამბობს ბ. ავტორი: კომიტეტმა საჩივარი აღძრა მღ. ვარძელაშვილ ზედაო. საჩივარი კომიტეტმა კი არა ვარძელაშვილის მოწინააღმდეგეთ გაჰგზავნეს ტირასპოლის ეპისკოპოსთან, ვითომ მღ. ვარძელაშვილი უკანონოდ ხარჯავდეს ფულებს. ამ საჩივარზე ეპისკოპოსმა მოითხოვა ყველა საწარმოებელი დავთრები და განიხილა თვითეულად, მათმა უსამღვდელოესობამ დიდი მადლობის წერილი უძღვნა მღ. მიხეილ ვარძელაშვილს და თან დაუბრუნა ყველა დავთრები.

მღ. მიხეილ ვარძელაშვილმა ს. ხიზაბავრაში ააშენა ეკლესია, იქვე დაარსა ქალების ერთ-კლასიანი სასწავლებელი ჰრაკერვით, ახალციხეში ააშენა ეკლესია, მასთანვე მყოფ სამრევლო სკოლას გაუჩინა მუდმივი შემოსავალი დუქნების აშენებით და სთხოვა სადაც საჭიროა, რათა სამრევლო სკოლა გადაკეთდეს ორ-კლასიანად.

**ილედუ**

—

მოწყალეო ხელმწიფევ,

ბატონო რედაქტორო!

ამ წლის მაისის 9 რიცხვს ქალბატონმა ნინო ვიქტორის ასულმა ჯაფარიძის მეუღლემ და ივანე სიმონისძე შარაშიძემ გადმომცეს ხონში გამართული საქველ-მოქმედო ბაზრის და სეირნობის შემოსავლიდან გადადებული ორას სამოცდა ცხრა მანათი და ოცდა ორი კაპიკი (269 მან. 22 კაპ.) რწმუნებულის ჩემდამი ხონის სავაჟო პროგიმნაზიის საჭიროებისათვის. მათგანვე მივიღე კიდევ ამ თვის პირველ რიცხვს ორას სამოცდა ცხრა მანათი და ოცდა სამი კაპიკი (269 მან. 23 კაპ.), მათგანვე გადმოცემული შემომწირველთაგან იმავე მიზნისათვის. ამის გამო ნება მიბოძეთ ჩემი და ჩემის თანამოსამსახურეების მხრით უუგულითადესი მადლობა ვუძღვნა თქვენის გაზეთის საშუალებით ქალბატონს ნინო ვიქტორის ასულის და ივანე სიმონის ძეს შარაშიძეს, რომელთა მეცადინეობით შეეძინა პროგიმნაზიას ხსენებული ფული.

**ხონის პროგიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ჭიჭინაძე.**

—

ბ-ნო რედაქტორო!

დ. ჩოხატაურის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგეობა ულრმეს მადლობას უცხადებს კნ. ვერა სიმონის ასულს ერისთავისას, რომელმაც სამკითხველოს ივნისის პირველ რიცხვიდან დაუკვეთა გაზეთი „კოლხიდა", არჩილ ჯორჯაძეს, რომელმაც შემოსწირა თავისივე თხზულება „ეროვნული პრობლემის გარშემო", ლადიკო ბეროს ძე ბერიძემ 1 მ., ვარლამ რუხაძემ თავისი ლექსები, მიხაკო კალანდაძემ თავისი გამოცემა კლდიაშვილის ორივე წიგნი, მარიამ დოლიძემ ორი წიგნი, და მიხაკო მიქელაიშვილმა 25 კ.

პ. ტივისცემით **გამგეობა.**

—

ბ. რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ვაუწყოთ საზოგადოებას შემდეგი: შაბათს, 11 თიბათვეს, აფიშებში გამოცხადებული იყო „ლიტერატურულ-მუსიკალური დილა", რომელიც დანიშნული იყო კვირას 12 თიბათვეს ავჭალის აუდიტორიის სასარგებლოდ. აფიშებში სხვათა შორის ჩვენი ამხანაგობის მომღერალთა გუნდის მონაწილეობაც იყო მოხსენებული, რომელზედაც არც ჩვენ, გუნდის გამგეობას, და არც ლოტბარს მიხეილ კავსაძეს მონაწილეობის მიღება არ აღგვითქვამს.

**გუნდის გამგეობა.**

# განცხადებანი


## დოქტ. ნავასარდიანისა

უოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გევორკოვა-ენგელი:** 6—$6^1/_2$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. (1168—59)

მუხრანის ქუჩაზე

# სამკურნალო

გ ა ი ხ ს ნ ა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს უოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ატენიანცი ნ. ა.** ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.

**ნ. მ. ახპახოვი**—(მედ. ექ.), ყურის., ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. აზვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებან დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. გეორგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

**კ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ დილ. 11—12 საათ.

**ი. გ. კალამკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ა. ი. კატანიან**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილოხანიძე**—ქირურგ. სნეულ (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს

**გ. ა. მელკონიანი**—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—89)

◀ მშობიარეთათვის ▶

# თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—1083—52)

**გამოცდილი მასწავლებელი**

ამზადებს ქალ-ვაჟს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისთვის

**პირობებით:**

სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, ეპარქიულ სასწავლებლისთვის, ტეხნიკურ, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე პოვივალნი ინსტიტუტისა, მიიღებს **პირეგზამენოვკიანებსაც.**

ამზადებს ერთ და ორ კლასიან მსწავლებლობის ხარისხზე.—ყველა კლასის ჩინზე. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებს.

მეცადინეობა იქნება სამ ალაგას: ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, ვაგზალზე და ვერაზე. მონაწილეობას **მიიღებენ მასწავლებლები** მცოდნენი უცხო ენებისა... მეცადინეობა დაიწყება დილის 8 ს-დან საღამოს 8 საათამდე. დროებით მასწავლებელთან მოლაპარაკება შეიძლება თავისუფლად 2-საათ. დღით 6 საათამდე. მსურველ! შეუძლიან ინახულოს სხვა დროსაც...

დროებითი ადრესი: Черкезовская ул. (быв. Авчальск.) д. № 133. кв. 4. противъ вокзала въ Нахаловкѣ. „**შესავალი უმთავრეს კარებიდან**".

(თ.—1084—19)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ზუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა. უ)

„სამპსონინა"

თმებისათვის

საპონი ექ. დიდიძისა

იყიდება ელისაბედის აფთიაქში (ქსენიევისა და ელისაბედის ქუჩების კუთხე). (წლ.—1152—72)

# ისარგებლეთ შემთხვევით!

გასაღდარ იაფ-ფასად შეგიძლიანთ იშოვნოთ **კ ი რ ი** მეორე ხარისხისა, ქუთაისში ინჟინერ ლიავდანსკის საკირეში. ამ კირის ერთი ვაგონი, 900 ფუთი, ადგილობრივ ქუთაისში 30 მანეთი ღირს. ეს კირი ნახევრად ქვიშა ნარევი, მშვენიერი მასალაა შენობისათვის, განსაკუთრებით საძირკვლისა და ძირი სართულისათვის. ამ კირას ბუხარი არა გვაქვს. იქვე ვაგონობით იყიდება

საუკეთესო და ეკონომიური კირი **პირველი ხარისხისა** ხელსაყრელ ფასად.

**მისამართი:** Известковый заводъ инженера Ю. А. Лявданскаго въ Кутаисѣ. (2—1346—1)

იბეჭდება და ამ დღეებში დაურიგდებათ ხელის მომწერლებს ივნისის ნომერი

ჟ უ რ ნ ა ლ

# „განათლებისა"

**შემდეგის შინაარსით:** 1. საუბარი ანუ დაკვირვებითი თვალსაჩინო სწავლება, ლ. ბოცვაძისა. 2. ლიტერატურული შენიშვნები (მოქალაქეობრივი მოტივი ჩვენს პოეზიაში), იგ. ვართაგავასი. 3. ვილიამ ჯემსი. საუბარი ფსიხოლოგიაზე. დ. უ—ძისა. 4. აზნაუროვი. ბავშვების დახვის მავნებლობა, კაზელაძისა. 5. დემირჭაია, (აღმოსავლეთის თქმულება), თედო კახდელაკისა. 6. სიზმარი და ნამდვილი, თ. რაზიკაშვილისა. 7. უ ფესვო მცენარე, (თარგმანი , გ პაპიტაშვილისა. 8. მტრედი (ლექსი), ლადო გეგეჭკორისა. 9. ხურათი, (ლექსი), დ. თურდოსპირელისა. 10. ვინ არის იგი? (ლექსი), ი. მ—ლისა 11. ელეგია, (ლექსი), ს. ა—ძისა. 12. მთას, (ლექსი). ბრანდისა. 13. ნაკადული, (თარგმანი), კ. გვარამაძისა. 14. *** (ლექსი), ლეო გ—სა. 15. საოჯახო გიმნასტიკა, ბარდოასი. 16. ზანგრძლივი სიცოცხლე ილ. ფერაძისა. 17. პასუხად დ. ქადაგიძეს, ეგნ ხრამელაშვილისა. 18. ე ხრამელაშვილის პასუხის-პასუხად, დ, ქადაგიძისა 19. ჩვენი მომავალი ეროვნული სახალხო სკოლები, ია—სი. 20 ბათუმის ქართულ სკოლის ექსკურსია ტფილისში, რ. რამიშვილისა. (სურათით). მოწერილი ამბები. 21. წერილი გურიიდან. 22. ბიბლიოგრაფია. 22. წერილი რედაქციის მიმართ ვარლამ იმერელისა. განცხადებანი.

**რედაქცია აცნობებს ხელის-მომწერლებს, ვისაც ფული არ გამოუგზავნია, ამ ნომრიდან ჟურნალის გზავნა მოესპობათ.**

ჟურნალის ფასი წლიურად სამი მანეთი, სოფლის მასწავლებელთათვის 2 მან.

მისამართი: Тифлисъ, Дворянская Грузинская гимназія Л. Г. Боцвадзе.

(3—1337—2) რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

გამოვიდა **ალ. შანშიაშვილის** ახალი დრამატიული პოემა

# „შვების თავადი"

ფასი 60 კაპ. გამოცემა მ. ნემსაძისა.

„სახალხო გაზეთის" ხელის მომწერთ, რომელნიც წიგნს მოიკითხავენ გაზეთის ანტორაში, დაეთმობათ 40 კ. ქალაქ-გარედ ხელის მომწერლებმა ფოსტის ხარჯად უნდა გამოგზავნონ 10 კ. წიგნი იყიდება: ტფილისში წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში და თვით გამომცემელთან (დიდი ვანქის ქ. № 12) (20—1308—14)

ტფილისის ქალაქის

# გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ვერის მოედანზე

# ყანთრის იჯარით გაცემა

**დანიშნულია 1911 წლის 17 ივნისს.** პირობათა გაცასინჯვა შეიძლება ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილებაში დილის 10 საათ. 2 საათამდე. (3—1331—3)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

# ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

# ახალ-ახალი

**ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

# ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მიიღეთ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა

გირვანქა 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიც 50 კ.

აგრე იყიდეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები. (წ—1053—)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

# გაფრთხილება

ვინც იტანჯება

ნერვების სისუსტით, სქესობრივ ულონობით, მოხუცებულობის დაჩაჩავებით, სევდის ქარით, (ისტერიით), ნევრალგიით, სისხლ-ნაკლებობით, ქლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოჰოლიზმით, ხერხემლისგახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.

გასასყიდად გავრცელდა მრავალი იაფ-ფასიანი და ჯანმრთელობისათვის მავნებელი, ჩვენის **სპერმინის** მიბაძულებანი, რომელსაც ნაირ-ნაირ სპერმინის სახელით ასაღებენ და სნეულთა შეცდომაში შესაყვანად ამ ყალბ წამლების მკეთებელნი წამალთან ერთად უგზავნიან ექიმებისაგან დადასტურებულ ჩვენის **სპერმინ-პელა** რეკლამას, და თავის წამლის რეკლამად ასაღებენ. ამისათვის ჩვენს მოვალეობადა ვთვლით ჩვენის **სპერმინის** მხმარებელნი გავაფრთხილოთ. ყველა მოწონების წერილები, ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ იბეჭდება **სპერმინის** სიკარგეზე, ჩვენ **სპერმინზე** ნათქვამი, რომელსაც ეწოდება **„სპერმინ-პელა"** ყველა დანარჩენი საშუალებანი მხოლოდ უვარგისი მიბაძვაა ჩვენის ფირმის მიერ დამზადებულ **სპერმინ-პელისა** და მათი მარგებლობაც არავითარ შემთხვევაში ჩვენს წამლებს ვერ შეედრება. ერთად-ერთი, ნამდვილი სპერმინი ჩვენი სპერმინ-პელაა—თითო შუშა 3 მანათ. ✦ მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ სპერმინის თაობაზე აუარებელი ლიტერატურა. ✦

органотерапевтическій институтъ. профессоръ докторъ ПЕЛЬ и С.-вья.

Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ. В. О., 7 лин. 18.

# აყალმყოფებს

(Метцль и К-о. № 54437.) (12—1261—5)


სტამბა „ხორაპანი", მადათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.